გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქ. გორი, გრ. ფერაძის № 5, ინდექსი: 1400.

№ 649-ვ/2

29 მარტი 2016 წ.

სსიპ მიხეილ ცერცვაძის სახელობის

გორის მუნიციპალიტეტის

სოფ. ზეღდულეთის საჯარო სკოლა

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსულია წერილი MES 7 16 00272460 21/03/2016 (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N ა/907 21/03/2016.) ინფორმაციით, სოფელ ზეღდულეთის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ბალანსზე რიცხული (ს/კ 66.55.20.010) ამორტიზებული შენობა-ნაგებობის ბალანსიდან ჩამოწერის და დემონტაჟის ნებართვის შესახებ.

წერილს დანართის სახით თან ერთვის შემდეგი სახის დოკუმენტაცია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის თანხმობის წერილები. სოფ. ზეღდულეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2016 წლის 12 თებერვლის N 2-01 ბრძანებით სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივის ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა (ოქმი N 1 20/02/2016წ); ამორტიზებული შენობა-ნაგებობის 4 ფოტოსურათი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთაკავშირის მიერ გაკეთებული ექსპერტიზის დასკვნა;

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა გაცნობებთ, რომ არ არის წინააღმდეგი განახორციელოდ სოფელ ზეღდულეთის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ამორტიზებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსაფრთხოების ნორმების დაცვით და შემდგომ მოახდინოთ დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ქონების აღრიცხვა.

პატივისცემით,

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი     დავით ონიაშვილი